სამშობლო

ხუთშაბათი
14 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. **განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 262 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 262

ტელეფონი № 76.

სამშობლო დიდის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი — ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ — ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირებს 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

ექვთიმე ივანეს ძე ჩხიკვაძე, მაიკო შენგელიას ასული ჩხიკვაძისა, ოლღა, ლიდა, აბესალომ და მიშა ჩხიკვაძენი; პლატონ ივანეს ძე ჩხიკვაძე, მაია ივანე ჩხიკვაძის ასული და იუსტინა რუხაძის ასული ჩხიკვაძისა— გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი და მეორე შვილისას, მესამენი ძმისას, მეოთხე და მეხუთე ძმისშვილისას, ხოლო უკანასკნელი მაზლისშვილისას

კოლია ექვთიმეს ძე ჩხიკვაძისას,

მიცვალებულის დაკრძალვა დანიშნულია პარასკევს, 15 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, სოფ. დიდი ჯიხაიშში. სერგეთის ეკლესიაზე.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

შაბათიდან, 11 იანვრიდან ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული პროგრამა:

„ტაძარი მიძღვნილი კულტისადმი".

გერმანელების იერიში ანუ მხეცები შემოპრგენ. ძლიერი დ. 4 ნაწ.

ქალთა პარიკმახერი პრენსი. კომიკური სურათი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 4 იანვრიდან, ნაჩვენები იქნება, **ძიძის მონა**, მოსკოვის ცხოვრებიდან. თანამედროვე დრამა 4 მოქ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ორშაბათს, 11 იანვრიდან, ახალი მხატვრული პროგრამა.

პიკა ლონგანი

სიზმარი ანუ მოტყუებული ოცნება.
დრამა 3 ნაწილათ

როგორ დაამარცხა ქვრივი. კომიკური.

ანონსი: ხუთშაბათს, 14 იანვრიდან, ნაჩვენები იქნება მხოლოდ მოზრდილთათვის **ნატაშა პროსკუროვი.** თანამედროვე ცხოვრებიდან.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ოველ დღე დილის 11—2 საათამდე და აღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მულინი

ელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
ბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ი. ჩარძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. ამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეთი.
ვანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების ება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ლექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.
გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.
გოსპიტლის ქუჩა სახლი ალახვერდიევის, ბინა ალელოვისა. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
მკურნალობ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ბორცვებს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუკეთებ ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის „ქერცლს", ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმი რ. პ. ხვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 12 იანვარი. ოფიც. დასავლეთის ფრონტი. ჩვენი არტილერია მოხერხებულათ უშენდა ყუმბარებს გერმანელების ბანაკს მდინარე დვინის რაიონში ფრიდრიხშტედტის ქვემოთ.

11 იანვარს მტრის ჰაეროპლანმა ჩამოაგდო ქალაქ დვინში ორი ყუმბარა, რომლითაც მოკვდა ერთი ქალი. სამილშნიშკის რაიონში, ბოგინის ტბის დასავლეთით მდინარე სტრიპის ფრონტზე გერმანელები იერიშებსა და საარტილერიო ბრძოლას აწარმოებენ. შემჩნეული იქმნა, რომ მტერი კვლავ განაგრძობს პროკლამაციების გავრცელებას ჩვენს ჯარში საჰაერო ბურთების საშუალებით. მოსული ცნობებით სჩანს, რომ გერმანელთა ერთი დივიზიის უმრავლესობა გაყინულია. ამასთანავე დიდი ნაწილი იმდენათ გაყინულია, რომ სრულიად გამოუსადეგარი არის ბრძოლისათვის.

კავკასიის ასპარეზი.

არზრუმის რაიონში ჩვენ განვაგრძობთ ოსმალების შევიწროებას, ყოველ დასახლებულ პუნქტებზე ხელთ ვიგდებთ ტყვე ასკარებს. მალასგერდის რაიონში ჩვენს ბრძოლას მოპირდაპირის ცხენოსან და ქვეითა ჯართან წარმატება აქვს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 11 იანვარი. საღამოს ცნობა. ბელგიაში, იზერის შესართავთან, ნიუპორის რაიონში მტერმა საარტილერიო ცეცხლი გააჩაღა, გამოისროლა 20000 ყუმბარამდი. პირველათ მოსული ცნობით, გერმანელების ქვეითა ჯარი ენერგიულათ შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენის ცეცხლის წყალობით თხრილებიდან გამოსვლა ვერ გაბედა, გარდა მცირე ჯგუფებისა, რომელნიც გამოსვლისთანავე „გაფანტულ იქნა. სტრეენსტრატეს რაიონშიც ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. მტრის ნაწილები ცდილობდენ მოტსკის არხზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენმა ქვეითა ჯარმა თოფის და ტყვის მტყორცნელთა ცეცხლით უკუაქცია. არტუაში, ჩვენს ფრონტზე, არასის დასავლეთით და ლანსზე მტერმა ააფეთქა ნაღმი და შეეცადა იერიშზე „გადასვლას, მაგრამ დაუყონებლივ შეეჩერეთ თოფისა და ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით. მეორე იერიშიც, სამხრეთით, უშედეგოთ იყო. სუასონის ჩრდილოეთით ჩვენმა ბატარეამ მტრის თხრილები დაანგრია მაღლობებზე. ფერმის აღმოსავლეთით, რეიმსის რაიონში გერმანელების ბატარეა სერიოზულათ გავაფუჭეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი.

ფრანგთა 32 ჰაეროპლანმა მტრის ბანაკს გევგელთან და მონასტირთან ყუმბარები დაუშინა უკანასკნელის მიდამოში 200 მდე ყუმბარა ჩამოყარეს.

ჰავრი. 11 იანვარი. ბელგიის ცნობა. ბელგიის ჯარის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. დილით პოზელეს სეკტორში ნაღმებით ბრძოლა ხდებოდა.

სოლუნი. 11 იანვარი. გუშინ ფრანგთა ორმოცმა ჰაეროპლანმა ორი რაზმით ყუმბარები დაუშინა მონასტირს და გევგელის რაიონს სადაც ჩამოაგდო 304 ყუმბარა. ამასთანავე ზოგიერთმა ზარბაზნებით დატვირთულმა ჰაეროპლანმა, სროლა აუტეხა მტრის ბანაკს და დიდი ზარალიც მიაყენა. მთელი ბანაკი სრულიად განადგურებულია. საჰაერო ესკადრონს მტერმა უპასუხა მძლავრათ საარტილერიო ცეცხლით, მაგრამ ყველანი უვნებლათ დაბრუნდენ. ეს გაბედული ნაბიჯი ისე შესრულებულ იქნა მიუხედავათ ცუდის ამინდისა. მფრინავებმა გაიარეს 330 კილომეტრ გვერდის ქარში და თოვლით დაფარულ მთების ქედებზე, რომელთა სიმაღლეც 2000 მეტრს აღემატება.

რომი. 11 იანვარი, სტეფანის სააგენტოს ათინიდან აუწყებენ, რომ ავსტრიელებმა სკადრი დაიკავესო.

ლიონი. 11 იანვარი. მოვიდა მთაშავეთის მეფე. თან ახლდენ მემკვიდრენი დანიელი და პეტრე, დედოფალი და სამეფო ამალა.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ჩერნოგორიამ იარაღი დაყარა.

ცნობა, რომ ჩერნოგორიის მეფემ ავსტრიასთან სეპარატიული ზავის შეკვრა არ ისურვა და მისი პირობები ზიზღით უარყოფო, ჯერ—ჯერობით შემოწმებულ გამართლებული არაა.

ის კი არა ყოველმხრიდან, რომ ჩერნოგორიამ იარაღი უკვე დაყარა და ზავის პირობებზე ხელიც მოაწერათ. ახლა იგი სკუტარიდან ისევ ცეტინიეში დაბრუნდა და ავსტრიის მთავრობასთან მოლაპარაკებას განაგრძობსო.

სერბიის დაპყრობამ და დარბევამ დიდი გავლენა მოახდინა ჩერნოგორიის მთავრობაზე, რომელმაც რყევა იწყო და მალე სეპარატიული ზავი მოინდომა. ამ მიზნით მეფე ნიკოლოზმა წინანდელი მთავარ მინისტრი გადააყენა და მის ალაგას ლაზარე მიუშკოვიჩი მოიწვია, რომლის დანიშნულება იყო ავსტრიასთან მორიგებაზე

მსოფლიო ომი.

რუსეთის დასავლეთის ასპარეზზე შედარებითი სიწყნარეა. ჩრდილო რაიონში ცვლილება არ მომხდარა, არ მომხდარა აგრეთვე ცვლილება არც სამხრეთის ბრძოლის პირზე. ფრიდრიხშტადტის ქვემოთ მდინარე დვინის რაიონში რუსის არტილერია წარმატებით მოქმედებდა. მდინარე სტრიპაზე არტილერიის ბრძოლაა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა. რუსის ჯარი განაგრძობს ოსმალოთა ჯარის დევნას არზრუმის რაიონში. მელაზგერტის რაიონში რუსებს შეტაკება მოუხდათ მტრის ცხენოსან და ქვეითა ჯართან. ამ ნაირათ, რუსეთის ყველა ფრონტზე დღეს მხოლოთ კერძო ხასიათის შეტაკებანი ხდება. ძნელი გამოსაცნობია მიიღებს თუ არა ახლო მომავალში ასეთი ბრძოლა ფართო ხასიათს. უფრო მოსალოდნელია, რომ რუსები არ შესწყვეტენ ოსმალოთა დევნას არზრუმისკენ, და აქ გაამართება მალე გადამჭრელი ბრძოლა, დასავლეთის ასპარეზით კი ჯერჯერობით არა სჩანს რომ რომელიმე მოპირდაპირეს განზრახვა ქონდეს მოქმედება განაცხოველოს და ფართო შეტევის გზას დაადგეს.

საგულისხმო ამბები მოდის დასავლეთის ასპარეზიდან. აქ გერმანელებს განუზრახავთ მოკავშირეთა ფრონტის გარღვევა. უკვე არა ერთხელ იყო ნახსენები, თუ რამდენათ ძნელია დასავლეთის ასპარეზით, განსაკუთრებით ბელგიაში, რომელიც ერთ დაცემულ და ჭაობიან ადგილს წარმოადგენს, რაიმე ფართო ოპერაციის დაწყება, და მართლაც ორივე მოპირდაპირე ერთმანეთს შეჩერებოდა. ინიციატივის ხელში მდებარე ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა. მიუხედავათ ამისა, გერმანელებს მკაცრი იერიში მიუტანიათ, და ნიუპორთან ცდილან მოკავშირეთა ფრონტის გარღვევას. ასეთი მოქმედების მიზანი ადვილი წარმოსადგენია: გერმანელებს სურს კალესკენ გაიჭრან. კერძო ცნობები და ოფიციალური დეპეშები გვიხატავენ თუ რა ხელოვნებით და გასაოცარი ტეხნიკური საშუალებით არის დღეს გამაგრებული მოკავშირეთა ბრძოლის პირი. ადვილი გასაგებია, რომ ამ პირის გასარღვევათ აურაცხელი მსხვერპლი იქნება გერმანელების მხრით საჭირო. ვის არ ახსოვს საარაკო ბრძოლა არარის ჩრდილოეთით. მისი შედეგი კი უმნიშვნელო გამოდგა შეიძლება ახლაც ასეთი უმნიშვნელო გამოდგეს გერმანელთა ცდაც, ან შეიძლება მათ სურდეთ დემონსტრაცია მოახდინონ, რომ ხელი შეუშალონ მოკავშირეებს ჯარი გაგზავნონ ბალკანეთში, სადაც მდგომარეობა ჯერაც გამოურკვეველია.

გერმანელებს გაუსროლიათ არა ნაკლები 20,000 ყუმბარა და სასტიკი და მკაცრი იერიშიც მიუტანიათ მიუხედავათ ამისა წინ ოდნავადაც ვერ წაუწევიათ. ამას გარდა არტუაშიაც გაუცხოველებიათ მოქმედება: მათი იერიში $1\frac{1}{2}$ კილომეტრის სივრცეზე სწარმოებდა, მაგრამ წინ ვერც აქ წაუწევიათ. ამნაირათ დასავლეთის ბრძოლის პირით გერმანელებმა თუმცა მოქმედება განაცხოველეს, მაგრამ ჯერ ძნელია იმის თქმა, დემონსტრაციას ნიშნავს ეს მოქმედება თუ ის ფართო მოქმედების დაწყებას მოასწავებს. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა გზას დაადგებიან გერმანელები.

* * *

მოლაპარაკება დაიწყო. შემდეგ, როცა ავსტრიელებმა მთა ლოვჩენი დაიკავეს და ხსნის გზა მართლაც არა სჩანდა, და იარაღის დაყრა თვითონ მეფემ გადაწყვიტა მტერთან მოსალაპარაკებლათ დიპლომატიურმ კორპუსი პოდგორიცაში გაგზავნა.

ამ დროს სერბიის ჯარმა ჩერნოგორიიდან წასვლა მოასწრო და მოკავშირეების მფარველობის ქვეშ სხვა და სხვა ადგილას გაიგზავნა. ნიკოლოზ მეფე კაპიტულიაციის მიღებას იმით ხსნის, რომ ჩერნოგორიის ჯარს საკმაო საომარი მასალა არ ჰქონდა, საშინლათ დაქანცულიც იყო, მთელ მხარეში შიმშილი მძვინვარებდა და მოკავშირეებიც დახმარებას არ იძლეოდენო. ირკვევა, რომ ჩერნოგორიას რუსეთისთვისაც მიუმართავს საომარ მასალით დახმარებოდა, მარა სათანადო პასუხი ვერ მიუღია.

პეტროგრადის დიპლომატიური წრეები კი დღეს ჩერნოგორიის საქციელით აღშფოთებული არიან და, თითქო ახლა გაიგეს მთელ ბრალს მეფე ნიკოლოზს დებენ რომელიც, ავსტრიასთან ნამდვილ ბრძოლას თავიდანვე არ ეწეოდაო.

ზოგიერთი წრე იმასაც ამბობს, რომ მეფემ მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს საომარი მასალის მოწოდებით დამეხმარეთო, მარა შესაფერი პასუხი ვერ მიიღოვო. ამბობენ იმასაც, რომ მეფის გენერალ ადიუტანტი მარტინოვიჩი ასეთივე თხოვნის აღძვრას ცდილობდა რუსეთის მთავრობის წინაშე, მარა ორი თვის წინათ იგი როგორღაც პეტროგრადიდან სულ გაქრაო. ასე იყო თუ ისე, ის კი ნამდვილია, რომ გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიციას სერბიის ჯარებთან ერთათ ჩერნოგორიის ჯარებიც ჩამოშორდა: ერთმა პატარა მოკავშირე სახელმწიფომ სეპარატიული ზავის შეკვრა გადაწყვიტა და ამით მოკავშირეთა სიმტკიცე შეარყია.

— ბუკოვინის ფრონტზე კვლავ გაცხარებული ბრძოლაა, რუსები ნელი ნაბიჯით განაგრძობენ წინ სვლას; ხოლო ავსტრიელები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ ძალას მოუყარონ თავი. ყოველი შეტაკება საშინელი და წარმოუდგენელი სისხლის ღვრით მთავრდება: ორივე მხარეზე დიდი ზარალი და მსხვერპლია.

ქრონიკა

რუსეთი.

სახელ. სათათბიროს მოწვევა.

ამასწინათ ხმა გავრცელდა დუმას 22 იანვრისთვის იწვევენო. ამისთვის უკაზის ადრე გამოცემა იყო. საჭირო ახლა იუწყებიან გორემიკინის მოხსენების შემდეგ უკაზი 15 იანვრამდე არ იქნება გამოცემული და რადგან კანონით უკაზის გამოცემის დღიდან მხოლოთ ორი კვირის შემდეგ შეიძლება დუმის სხდომების ვადის დანიშვნა, ამიტომ დუმას მოწვევის ვადათ ახლა 1 თებერვალს ვარაუდობენ.

ერობის შემოღება ამიერ კავკასიაში.

ამ დღეებში მთავარ მინისტრს, გორემიკინს მოხსენება წარუდგინა სტატს სეკრეტარმა ნიკოლსკიმ ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. მოხსენებაში აწერილია კავკასიის ახლანდელი ნამესტნიკის შეხედულება მოსაზრებანი ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების საჭიროებაზე. მოხსენებას მინისტრთა საბჭო განიხილავს.

ჟურნალის და ალმანახის აღკვეთა.

7 იანვარს კონფისკაცია მოახდინეს ჟურნალის „ნოვაია ჟიზნის“ (დეკემბრის 1915 წლ.) და ალმანახის იმავე სახელწოდებით № 2. 1915 წ.

კიდევ ერთი ნაბიჯი წინ.

ამასწინათ მკითხველს გავაცანით, თუ როგორ არის სახალხო სასურსათო საქმე დაყენებული გერმანიაში ამ ომის დროს. ახლა გვინდა გადმოვცეთ, თუ რა ნაბიჯი გადადგა გერმანიამ ამ საქმეში. ომის დასაწყისში თითქმის ყველა იმ აზრის იყო, რომ ომი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, ვინაიდან მთავრობებს თანამედროვე სახელმწიფოთა ეკონომიური ურთიერთობა ამის ნებას არ მისცემდა. ინტერნაციონალური ეკონომიური კავშირის ძლიერება ყველასთვის აშკარა იყო და აქედან ფიქრობდენ, რომ იმისი დროებითი შეწყვეტა ერთ თვესაც ვერ გასტანდა.

მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს არ გამართლდა: წელიწადნახევარი გადის და ომს ჯერ დასასრული არ უჩანს.

რა მდგომარეობაში ჩავარდენ სახელმწიფონი ეკონომიური მხრით ინტერნაციონალური კავშირის გაწყვეტის გამო? ეს დიდი კითხვაა და სოციოლოგის სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. ჩვენ აქ მხოლოდ მთავარ ტენდენციების აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

უპირველესად ორ მოპირდაპირე ბანაკათ, ორ კოალიციათ გათიშულმა სახელმწიფოებმა თავიანთ მოკავშირეებს მიმართეს და რამდენათაც კი საზღვაო გზების ბლოკადა მათ ნებას აძლევდა, ეკონომიური კავშირი წინანდელზე უფრო გააძლიერეს. რუსეთმა მაგალითად თავის მეზობელ იაპონიასთან განამტკიცა კავშირი, ხოლო გერმანიამ შვეციასთან და დანიასთან გამუდმებული აღებ-მიცემობა გააჩაღა, მაგრამ ამით საქმეს ნაკლებათ ეშველა, ვინაიდან მეზობელ მოკავშირე ქვეყნებს ის საქონელი ხშირათ არ მოეპოვებათ, რაც საჭიროა. ამისთვის სახელმწიფონი იძულებული გახდენ საკუთარი წარმოება—მრეწველობისთვის მიემართათ და თავისივე სამშობლო ნიადაგზე გაეძლიერებიათ ძველი ნაცადი წარმოება ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ახალი სამრეწველო საგნებისთვის მოეკიდათ ხელი. რუსეთმა მაგალითად ტერმომეტრების შინ დამზადება სცადა. გერმანიამ კიდევ ხორბლეულის წარმოება გააძლიერა.

რა თქმა უნდა გაჭირვებას ვერც ამ მეცადინეობამ უშველა: შინ ახლათ დაწყებულმა წარმოებამ, რასაკვირველია, ათეული და ხშირათ ასეული წლების განმავლობაში უცხოეთის განვითარებული მრეწველობის მაგიერობა მოკლე დროში ვერ შესძლო და ქვეყანა განსაცდელში ჩაიგდო.

საქმე განსაკუთრებით სახალხო სასურსათო საკითხის მხრით გამწვავდა. ცნობილია, რომ ერთ სახელმწიფოში მეურნეობაა განვითარებული, ხოლო მეორეში კი მხოლოდ მრეწველობა. აქედან განსაკუთრებულ გასაჭირში უნდა ჩავარდნილიყო ის ქვეყანა, რომელსაც რკინა და მანქანა საჭიროზე ზედმეტი აქვს, ხოლო პური კი სანახევროთაც არ ყოფნის და — აი, სწორეთ ასეთ ქვეყანას წარმო გერმანია. ყველას ეგონა, რომ შიმშილი მალე აიძულებდა იარაღი ყარა; მარა რას ვხედავთ!

მან გამოსავალი [illegible] კუთრებული ძლიერებით განაგრძო გასაჭირი „მონოპოლიის“ მოღებით ვიდან აიშორა.

წარმოების მოწესრიგება და ყ გვარი სურსათის „სამართლიანათ“ წილება, აი რა დევიზი დაუდვა მა ფუძვლათ თავის მოქმედება—რეფო ხალხმა ეს დევიზი თავის მოთხოვნ ბათ გადააქცია და დღეს „სამართ განაწილების წესს ისე შეეჩვია, რომ „სოციალური სასურსათო უტოპიე დაებადა. ახლა იგი სულ უფრო და მეტს მოითხოვს და მთავრობაც ი ბული ხდება დააკმაყოფილოს იგი.

წინათ თუ ის პურისა და კარ ის „მონოპოლით“ და „სასურსათო ბის უწყების“ დაარსებით დააკმა ლეს, ახლა გერმანიის მთავრობამ ნაბიჯი კიდევ გადადგა წინ და „სა სასურსათო საბჭო“ დაარსა.

საყურადღებო აქ უფრო ისაა, ასეთ გზას თვით ის „იუნკრული კო ვატიული პარტია“ დაადგა, რომ „მილიტარისტობით“ ზოგი „ცნო პუბლიცისტი მთელ ქვეყანას ა აფრთხილებენ: თავი დაიცავით გერ იუნკრების მილიტარიზმისაგან, დამარცხების შემდეგ ქვეყნათ მონ სასტიკი რეაქცია გამეფდებაო. ამ ფლიო რეაქციის“ წინამორბედი პა ერთი ლიდერთაგანი, გრაფი ვეს არის ამბობდა გასული წლის დ უსაჭიროესი და უპირველესი საქმე ისაა, რომ თავის დროზე დაუყონ იქნას გადამწყვეტი სწორათ მო ბული და მიზან შეწონილი ზომები ბული, რათა ხალხს სურსათი და საჭირო საგნები დაუბრკოლებლივ ვეზოდეს საკმაოთ; აუცილებელია, **თანაბრათ და სამართლიანათ მომხმარებელთა შორის განაწილ მთელი ის სურსათ-სანოვაგე, რა გერმანიაში ხელთმოიპოვება;** სასტიკი და შესაფერი ზომები უნდ ნას მიღებული მევახშეობის და ყ გვარი სპეკულიაციის წინააღმდეგ, წარმოება თავის კალაპოტში—ჩად

ცხადია ერთი მხრით, რომ კონ ტიული პარტია „კბილთა ღრ თანხმდება ასეთ პრინციპების გატა ხოლო მეორე მხრით აშკარაა, რომ მანიის ხალხი ზემოხსენებულ ზომებ ლებაში მაინც „თანასწორობის და თლიანობის“ პრინციპის განხორციე

დამათრობელი სიმღერა.

(ნაწყვეტი „ასე ამბობდა ზარატუსტრადან“ ფრიდრიხ ნიცშესი.)

1.

იმ დროს, როდესაც ზარატუსტრას თანამგზავრნი გამოვიდენ გამოქვაბულიდან ცივსა და დაფიქრებულს ღამეში,—ზარატუსტრამ წაიყვანა უმახინჯესი ადამიანი, რომ ეჩვენებინა მისთვის ღამის ქვეყანა, სრული, მრგვალი მთვარე და ვერცხლის ფერი ჩანჩქერი თავის გამოქვაბულთან. და აი, ბოლოს, ისინი იდგენ და ჰკვირობდენ თავის თავზე, რომ ასე კარგად გრძნობდენ თავს მიწაზე. და ხელახლა გაიფიქრა ზარატუსტრამ თავის გულში: „ოჰ, როგორ მომწონს ეხლა ის უმაღლესი ხალხი“, მაგრამ მას არ გამოუთქვამს ეს რადგან პატივს სცემდა მათ ბედნიერებას და სიჩუმეს.

ამ დროს იქ მოხდა ის, რაც იყო საოცარი იმ საკვირველს, გძელს დღეს. ყველაზე მახინჯმა ადამიანმა კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, დაიწყო ჩიფჩიფი და ქშენა და, როდესაც მოიკრიბა ძალა სიტყვისთვის, ჰოი საკვირველებავ, მის ბაგეთაგან მკაფიოდ და გასაგონათ გაისმა კითხვა ისეთი კარგი, ღრმა და წრფელი კითხვა, რომ ყველას, ვინც კი გაიგონა, აუძგერდათ გული.

ოჰ, თქვენ მეგობარნო ჩემნო, ამბობდა უმახინჯესი ადამიანი, რა ხდება თქვენს სულში?.. ამ დღის გულისთვის მე კმაყოფილი ვარ მთელი ჩემის ცხოვრებით. მე არ დავილევი ამის დასამოწმებლად. ღირს მიწაზე ცხოვრება: ერთი დღე, ერთი უქმე შემასწავლიდა მე მიწის სიყვარულს. „ნუ თუ ის ცხოვრება იყო?“ ვეტყვი მე სიკვდილს?;

ჩემო მეგობარნო, რა ხდება თქვენს სულში?..

თქვენ მზად არა ხართ.. ჩემსავით უთხრათ სიკვდილს: „რა ვუყოთ,—კიდევ ერთხელ!—ასე ამბობდა უმახინჯესი ადამიანი; შუაღამე კი ახლოვდებოდა.. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა მაშინ? მხოლოდ უმაღლესმა ხალხმა გაიგონა მისი კითხვა.. შემდეგ ყველა ერთად გაეშურნენ ზარატუსტრასკენ მადლობის და პატივისცემის გადასახდელათ,—ეალერსებოდენ, ემთხვეოდენ მის ხელებს, ყოველი თავისი სულიერი განწყობილების მიხედვით. ასე რომ ერთნი იცინოდენ, მეორენი სტიროდენ.. ძველი წინასწარმეტყველი კი სიამოვნებისაგან ცეკვავდა და თუ,—როგორც ზოგიერთები ამბობენ, იყო ის მთვრალი ტკბილი ღვინისაგან, მაინც უეჭველია რომ ის იყო გამსჭვალული ცხოვრების სიტკბოებით. არიან იმისთანებიც, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მაშინ ცეკვავდა ვირიც, რადგან ტყუილა ხომ არ დაუთვრია ის იმავე ტკბილი ღვინოთი. უმახინჯეს ადამიანს?. ეს შემთხვევა შეიძლება სხვადასხვა ნაირათ გავიგოთ, მაგრამ მაინც თუ ნამდვილათ იმ საღამოს არ უცეკვია ვირს,—სამაგიეროთ მოხდა უფრო დიდი და საკვირველი სასწაულები. ერთის სიტყვით, როგორც ლაღადებს ზარატუსტრას თქმა: —„მერე რაო?“

2.

ზარატუსტრა ამ დროს იყო, როგორც მთვრალი. მისი გამომეტყველება ჩაქრა, მას ენა დაება.. და ვინც გამოიცნობდა რა აზრები ტრიალებდა ამ დროს ზარატუსტრას თავში? ვგონებოდა მისი სული შორეულ სივრცისკენ მიჰქროდა და იყო, როგორც—სწერია სამღვთო წერილში. მთათა უმაღლეს მწვერვალებზე, ორ ზღვათა შორის.. დაეხეტებოდა როგორც სქელი ნისლი წარსულსა და მომავალში. მაგრამ ცოტ-ცოტათ, მაშინ როცა უმაღლეს ადამიანებს ეჭირათ ის ხელში,—გამოერკვა და ხელის გაქნევით დაითხოვა ბრბო.. მაგრამ ის უეცრად მოტრიალდა,—თითქოს რაღაც მოესმა. ტუჩთან თითი მიიტანა და ლაღადყო: „მოვალს!“ და მსწრაფლ გამეფდა ირგვლივ სიჩუმე და მყუდროება. შორს, სიღრმიდან გაისმა გრძელი, გაჭიანურებული ზარის რეკვა.

ზარატუსტრა უგდებდა ყურს, ისე, როგორც უმაღლესი ხალხი.. შემდეგ მან მეორეთ მიიტანა ბაგესთან თითი და ხელახლა სთქვა: „მოვალს! მოვალს! ახლოვდება შუაღამე!.

და მისი ხმა გამოიცვალა. მაგრამ მაინც არ დაძრულა ადგილიდან.. მაშინ კამეფდა ირგვლივ უფრო ღრმა მყუდროება და სიჩუმე და ყველა ყურს უგდებდა ზარატუსტრას: ვირი, საყვარელი მხეცები: არწივი და გველი, გამოქვაბული, ვრცელი, ცივი მთვარე და თითონ ღამე!

ზარატუსტრამ მესამედ ლაღად ჰყო:

„მოვალს! მოვალს! მოვალს! ეხლა წავიდეთ! დადგა ღამე! წავიდეთ ღამეში!.

3.

ოჰ, მაღალო ხალხო, ახლოვდება შუაღამე!.. ეხლა მე გეტყვით რაღაცას ყურთან, როგორც მესაუბრე ძველი ზარი..

— ისე იდუმალათ, ისე საშინლათ, ისე გულწრფელად როგორც მელაპარაკება მე შუაღამის ზარი,—რომელმაც განიცადა მეტი, ვიდრე თითოეულმა ადამიანმა,—და რომელსაც დათვლილი აქვს მტანჯველი გულის ცემა თქვენი მამების.. ახ! ახ!. როგორ ოხრავს ის!, როგორ იცინის ის ძილში!. ძველი, ღრმა შუაღამე!. ჩუმად, ჩუმად! ეხლა ისმის ბევრი, რაც დღე არ შეიძლება გაიგონო! მაგრამ ღამის სიცივეში, როცა მიწყდება თვით თქვენი გულის ცემაც,—ყველა ეს ისმის.. ეხლა ყველა ეს ესმის ღამეში მოქანცულს სულს. ახ! ახ! როგორ ოხრავს ის!. როგორ იცინის ის ძილში!

ნუ თუ არ გესმის შენ, როგორ იდუმლათ, საშინლად და გულწრფელად გელაპარაკება ძველი ღრმა შუაღამე!

ო, მეგობარო გულის ხმა ჰყავ!...

4.

ვაი მე! სად გაჰქრა დრო! ხომ არ ჩამიყვნთავს ღრმა წყალში?. ქვეყანას სძინავს.. ახ! ახ!

ძაღლი ყმუის. მთვარე ანათებს, მე ჩქარა მოვკვდები, ვიდრე მეტყვი თქვენ თუ რას ამბობს შუაღამისას ჩემი გული!

აი, უკვე მოვკვდი მე! აღსრულდა! ობობავ, რისთვის ქსოვ ჩემს ირგვლივ ქსელს? შენ გინდა სისხლი?. ახ, ახ! ცვარი იფრქვევა, ახლოვდება საათი... საათი რომელიც ასე ცივია ჩემთვის!. საათი რომელიც მეკითხება: ვის ექნება მამაცობა?. ვის ეკუთვნის იყოს მიწის უფალი? ვინ იტყვის: იდინეთ ასე თქვენ დიდო პატარა მდინარეებო!.

საათი ახლოვდება: ოჰ, ადამიანო, ოჰ, მაღალო ადამიანო გულის ხმა ჰყავ!. ეს სიტყვაა მახვილი სმენისთვის, შენი სმენისთვის რას ამბობს შუაღამე?

ყური უგდე!...

5.

მე მივქრივ!.. ჩემი სული ცეკვავს.. დღიურობავ! დღიურობავ!. ვინ უნდა იყოს მიწის უფალი?. მთვარე ცივია! ქარი სდუმს.. ახ! ახ! აფრენილხართ თქვენ საკმარისად მაღლა?.. თქვენ გიცეკვიათ, მაგრამ ფეხები მაინც ფრთები არ არის.. თქვენ, კარგო მოთამაშენო, ყოველი სიხარული განგვეშორა. ღვინო დამჟავდა, თასები დალპენ, ალაპარაკდენ საფლავები.. თქვენ არ გიფრენიათ საკმარისად მაღლა. ეხლა ალაპარაკდენ საფლავები: „გაათავისუფლეთ მკვდრები!. რისთვის გძელდება ღამე ასე?. ხომ არ დაგვათრობს ჩვენ მთვარე?..

ო, მაღალო ხალხო, გაათავისუფლეთ საფლავები აღადგინეთ მკვდრები! ახ! რას ღრღნის ჭია?. ახლოვდება, ახლო საათი.. ზარი რეკს.. გული ოხრავს.. ღრღნის გულს.. ახ! ახ!..

მსოფლიო სიღრმეა!...

6,

ტკბილ-ხმოვანო ჩანგო! ტკბილხმ ჩანგო! მე მიყვარს შენი ხმა, შენი თრობელი, ყრუ, ერთფერი ძახილი! გორ შორეულით, გაჭიანურებული დის ჩემთან შენი ხმა სიყვარულის გან!.. ო, ძველო ზარავ, შენ ხმოვანო ჩანგო! სევდით სკდებოდა გული მამის და მამა-პაპის სევდებით! სიტყვა მომწიფებული შეიქნა ისე, გორც შემოდგომა, საათი შუადღის დევ.. ჩემე გულის მზგავსათ ლაპარ ეხლა შენ!. თითონ ქვეყანა მომწ ვაზის მტევნები ფითრდებიან!

— ეხლა მას სურს მოკვდეს... ბედ ერებისგან მოკვდეს.. ო, მაღალო ხო, ნუ თუ არ გრძნობთ სურნელებ იდუმალათ იფრქვევა სურნელება!

კეთილსურნელება და სუნთქვა მარ სობის, როგორც ვარდისგან, როგ ოქროსფერ ღვინისგან, ტკბილი სუ ლი შუაღამის დამათრობელი ბედნი ბის, სიკვდილის ბედნიერების, რომე მღერის:

ქვეყანა სიღრმეა, სიღრმე ეს დღ ვის ოდნავ დასანახია!...

7.

თავი დამანებე! თავი დამანებე! ძლიერ სუფთა ვარ შენთვის ნუ ბი.. ნუ თუ ჩემი ქვეყანა არ შეიქნა ლო სულ-ქმნილი.

ჩემი კანი ძალიან სუფთა არის ხელებისთვის. თავი დამანებე შენ სულთამხუთავო დღევ!. განა შუა უფრო ნათელი არ არის?. ყველაზე ტაკნი უნდა იყვნენ მიწაზე ბატონები

ო, დღევ, შენ მიმყვები შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ხელავს; ამიტომ ის მხნევდება და მოთხოვნები მას კიდევ უფრო უფართოვდება.

შემოილეს მაგალითად პურის და კარტოფილის „მონოპოლია", ახლა მოითხოვენ, რომ ასეთივე „მონოპოლია" გამოაცხადონ ხორცზე, ერბოზე და სხვა სანოვაგეზედაც.

გერმანიაში დღემდე განხორციელებულია პურის, კარტოფილის, შაქრის, ერბოს და ხორცის მონოპოლია.

ახლა უნდათ თითქმის ყოველგვარ სანოვაგეზე და ხალხისთვის აუცილებელ საგნებზე, „მონოპოლია" გამოაცხადონ.

ეს ხალხმა წინათვე მოითხოვა, მაგალ. მაისში რეიხსტაგის სხდომაზე განაცხადეს, მაგრამ მაშინ პარლამენტმა მისი წინადადება უარჰყო. ეგევე მოთხოვნა ავგისტოს სხდომებზედაც იყო წამოყენებული, მაშინ კი მინისტრის დელბრიუკის თანხმობითაც რეიხსტაგმა წინადადება მიიღო.

ამ წინადადებით დაარსდა „სახალხო სასურსათო საბჭო", რომელიც შედგება მხოლოდ პარლამენტის რჩეული წევრებისგან და რომელსაც მინიჭებული აქვს ყოველგვარი უფლება სახალხო სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად. იგი შინაგან სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებად ითვლება. უნდოდათ, რომ ეს დაწესებულება თავის დადგენილებათა გაყვანაში სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო მთავრობისაგან, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის სასტიკი წინააღმდეგობის გამო პარლამენტმა ეს უფლება მას შეუზღუდა მხოლოდ იმით, რომ იგი ვალდებული გახდა მთავრობასთან შეთანხმებით იმოქმედოს. საბჭოში 4 ს. დ. დეპუტატი აირჩიეს საბჭო კი სულ 15 წევრისგან შედგება.

დელი.

ქ. ქუთაისი, 14 იანვარი.

თოთხმეტი იანვარი! რა მცირეასი დღეა იგი საქართველოსთვის, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, შეიძლება დღეს ბევრს არც კი ახსოვდეს, რომ ამ დღეს ქართველი ერი და მისი ეკლესია დღესასწაულობს ქართველთა განმანათლებელ, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ხსენებას.

წმინდა ნინო! ეს ემბლემაა ქართველი ერის განახლებისა, გაკულტუროსნებისა.

წმინდა ნინო!—ეს დათრგუნვაა წარმართობისა და დადგომაა საკაცობრიო იდეალების გზაზე.

იმ დროს, როცა ბევრი დღეს დიდათ ცნობილი ერი ჯერ ისევ პირველ ყოფილ მდგომარეობაში იყო და მთაბარობდა და ველური ცხოვრებას ატარებდა, ქართველი ხალხის კულტუროსნობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და ქართველმა ერმა გული გაუხსნა ქრისტეს მოძღვრებას და შეითვისა იგი.

ეს მოხდა მეოთხე საუკუნის პირველ მეოთხედში.

მას შემდეგ მედგრათ მოდის საქართველო თავის ისტორიულ გზაზე და მოაქვს თან ჯვარი თავისი, რომლის დამსხვრევას და დამხობას სცდილობდა სამაჰმადიანო აღმოსავლეთი, მაგრამ პატარა საქართველომ ეს ჯვარი უწიკვლად მოიტანა მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟამდე.

ამ გარიჟრაჟზე კი ჯვარი თვისი და თავი თვისი გადასცა დიად რუსეთს იმ იმედით, რომ უფრო გაძლიერდებოდა და აყვავდებოდა...

დღეს ყველამ ვიცით, რომ ქართველთა ეკლესიამ უკვე დაჰკარგა თავისებურობა და რუსეთის ეკლესიაში გაითქვიფა. ქართველმა ერმა თითქმის დაივიწყა კიდეც ამაგი თავისი განმანათლებელისა.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მრავალ საუკუნოებით დათესილი მადლი ქართველობისა სამუდამოდ არ დაიკარგება და გამოფხიზლებული ქართველი ერი კვლავ აღიარებს ჯვარს თვისსა და განაგრძობს თავისებურ სამსახურს თავისს ქვეყნისადმი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი შაბათს 16 იანვარს გამოვა

ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თ-დი. დავით ოტიას ძე ნიჟარაძე დაინიშნა მეფის მოადგილის საგანგებო მინდობილებათა გენერლად.

✦ სამშაბათს, 12 იანვარს, ქუთაისის საზოგადო დარბაზში გაიმართა სტუდენტების ტრადიციული საღამო. საღამო მეტად შინაარსიანი გამოდგა. ძლიერ დიდი საზოგადოება დაესწრო. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. საღამოს გამმართველ თავჯდომარეს სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისას ელისაბედ ნიკ. ასულის ხვენოვისას ქუთაისში მყოფმა სტუდენტებმა სამადლობელი ადრესი მიართვეს. ამ ადრესის შინაარსს და ხელმოწერილებით ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ ქ. ქუთაისში ამ ერთ ხანში არსდება წიგნების გამომცემლობის ამხანაგობა შემდეგი სახელწოდებით „პროლეტარი".

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალი თეატრი და ცხოვრება და ნაკადულის მორიგი ნომრები. ჟურნალი სუფთად არის გამოცემული და შინაარსიანია.

✦ ქუთაისის დრამატიულ ამხანაგობის რეჟისორი ბ-ნი შალვა დადიანი წარსულ კვირას თბილისს იყო სათეატრო საქმეების გამო, ბ-ნ. შალვა დადიანს ურჩევია ახალი პიესები ქუთაისის სცენაზე დასადგმელად.

✦ 24 იანვარს ქუთაისს საგასტროლოდ ჩამოვა, მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი და მონაწილეობას მიიღებს „ბედის ღელიფელში".

✦ როგორც გავიგეთ, იანვრის ბოლო რიცხვებში, ქუთაისში გამოვა ალმანახი „ცისფერი ყანწები".

✦ ქალთა წრეს განზრახვა აქვთ 26 იანვარს დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ ქალაქის თეატრში გამართოს სალიტერატურო საღამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

✦ ქუთაისში ადგილობრივმა ვაჭრებმა მიიღეს რამდენიმე ვაგონი შაქარი.

✦ ქუთაისის მომავალ თეატრის ასაშენებელ თათბირზე თავად-აზნაურობის მხრივ აირჩიეს ნაფიცი ვექილი ზაქარია კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი, „სამშობლოს რედაქციის მხრივ ია ეკალაძე. და გაზ. მეგობრის მხრივ შ. დადიანი.

✦ ქუთაისში ამ ჟამათ საგრძნობლათ აცივდა და საშინელი ყინვებიც დაიჭირა.

✦ „სინათლის" საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ საღამოზე 6 იანვარს მთელი შემოსავალი 27000 მანეთამდეა.

✦ ქუთაისის მაზრის სააზნაურო ბანკის გამგეობამ ოცი მანეთი გადასდო ყოფილ სვიმონიძეულ სახლის შეკეთებისათვის მომავალში ბანკი ამ შენობაში გადავა.

✦ გუშინ თბილისიდან ჩამოვიდა ინჟინერი სემინოვსკი რომელმაც ჩამოიტანა დამზადებული ტრამვაის გეგმა და რომელსაც წარუდგენს ქალაქის გამგეობის ტეხნიკურ კომისიას.

✦ ჟურნალ „ცხოვრების" რედაქტორ-გამომცემელმა ბ ნმა რომ. ფანცხავამ უფასოთ დაუთმო ერთი წლით თავის ჟურნალი დავ. კლდ. სამკითხველოს.

✦ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-მა გიგო ერისთავმა მთავრობისგან ჯილდოთ მიიღო წმ. ვლადიმერის ჯვარი.

✦ კვირას 4 იანვარს დანიშნულია დიდი-ჯიხაიშის უფასო-წიგნ-საცავ სამკითხველოს წლიური კრება.

✦ ს. ბანძის (სენაკის მაზრა) მცხოვრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რომ ნება დართონ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ნიხრი".

მოწერილი ამბები.

ბაღდადი. კვირას, 10 იანვარს ბაღდადის ბოქაულის ბ. ივ. წულუკიძის თავჯდომარეობით მოხდა გლეხთა საზოგადოების ყრილობა, ასარჩევი იყო მამასახლისი და მისი თანაშემწეები. ბოქაულმა წინადადება მისცა ხალხს, აერჩიათ პატიოსანი და შეგნებული პირები. ყრილობამ ერთხმად აირჩია დათიკო ჩარკვიანი, რომელიც სამი წელიწადია რაც საზოგადოებიდან ვექილად და სარევიზიო კომისიის წევრად იყო არჩეული და დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ბ-ნი ჩარკვიანი ინტელიგენტია და მასთან პატიოსანი და უანგარო ადამიანი. ეს პირველი მაგალითია, რომ ბაღდადის მხარეში ინტელიგენცია აირჩია გლეხთა საზოგადოებამ მამასახლისათ და ისიც აზნაური.

სრული იმედია ბატონი ჩარკვიანი გაამართლებს ხალხის იმედებს და ჩვეულებრივი ენერგიით და პატიოსნებით გაუწევს სამსახურს საზოგადოებას, რომელსაც მექრთამე და ყოვლად შეუბრალებელ მამასახლის—მწერლებისაგან მრავალი მწარე დღეები აქვს გავლილი.

შვილი.

მოწოდება.

სამწუხაროდ, საუცხოვო დახასიათება იქნება ჩვენი ქალების დიდი უმრავლესობის ცხოვრების, რომ გავიმეოროთ მ. სალტიკოვის ლამაზი გამოთქმა: „ცხოვრება და თანამედროვე საზოგადოებრივი მიმდინარეობა აშმორებულს, დამდგარ ტბას წარმოადგენს"-ო.

ამასვე გაიმეორებს თითოეული ჩვენგანი, როდესაც ღრმად ჩაუკვირდება დღევანდელ ქუთ. ქალაქის საერთო უშინაარსო ცხოვრებას.

მსოფლიო ცეცხლის ალმა ყველა ბნელი კუნჭული შეანგრია, ყველგან სალათას ძილი დააფრთხო, სიმწარესთან ერთად სიფხიზლე—სინათლე შეიტანა, ყველა ამოძრავდა, ამეტყველდა, ყველასთვის ცხადი გახდა ცხოვრების მაჩანჩალად დარჩენის შეუძლებლობა, სული და გული ახლისკენ ისწრაფვის, რაც გუშინ იყო, დღეს არ გვაკმაყოფილებს, ნერვიულ მდგომარეობას მხოლოდ მოლოდინი ამშვიდაფრთოვანებს, გაშფოთებს საკუთარი უძლურება ასეთ დიად მომენტში.

რითი ხასიათდება ასეთ აღშფოთებულ გადამავალ ხანაში ჩვენი ქალების უმრავლესობის ცხოვრება?!

თანამედროვე უბედურებამაც კი იმდენათ ვერ გამოაფხიზლა ჩვენი გონება, რომ მხოლოდ ჩაცმა-დახურვა არ შეადგენდეს ჩვენ საზრუნავ საგანს. მუდამ ერთი და იგივეობა, მარად ძველი გზით სიარული, მხოლოდ პირად სურვილისთვის არსებობა, ლოტო და ბანქო, აი ის „აშმორებული ტბა", რომელიც მოსჩანს ცხოვრების ზედა პირზე და რომელსაც გვანახებს დიდი უმრავლესობა.

მსოფლიო ცეცხლის ქარტეხილმა მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოუყენა გადასაწყვეტათ. ერთ-ერთი უმთავრეს საკითხთაგანი ქალთა საკითხია, რომლის მოწესრიგება ისტორიულ აუცილებლობად მიგვაჩნია, რომ არ დავრჩეთ ცხოვრების მაჩანჩალად მომავალშიც. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ქალთა ძალების „მობილიზაცია", მათი დაახლოვება ერთმანეთთან, რომ საერთო საშუალებით განვამტკიცოთ ქალთა სწორუფლებიანობის იდეა, ასეთი მუშაობისთვის აუცილებელია საკუთარი ორგანოს შექმნა, სადაც ჩვენ დამოუკიდებლად შევძლებთ წერა ჩვენ პროგრამაზე, განსაკუთრებით ქალთა საკითხზე, რადგან ამ [illegible] საქმის არ იცნობენ ჩვენი ქალები.

ამ მიზნის განსახორციელებლად ქ. ქალთა საზოგადოებამ გადაწყვიტა ქალთა დღის (23 თებერვალი) აღსანიშნავად ჯერ-ჯერობით გამოსცეს ერთი ნომერი ჟურნალი, ეს ჟურნალი იმას გარდა, რომ გააცნობს ჩვენ ქალებს ქ. დღის მნიშვნელობას და ქ. საკითხზე საყურადღებო წერილებს, აგრეთვე საძირკველს ჩაუყრის მუდმივ ორგანოს გამოცემას.

ქუთ. ქალთა წრის გამგეობა მიმართავს თხოვნით დახმარებისათვის ყველა ქართველ ლიტერატორთ, განურჩევლად სქესისა და მიმართულებისა, მოგვაწოდონ თავიანთი ნაშრომი, როგორც ქალთა საკითხზე, ისე მხატვრული ლიტერატურაზე.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის სასურველია და დიდ მნიშვნელოვანი ქალების ნაშრომი. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენი ქალების მშრომელ დემოკრატიულ ნაწილზე, რომ ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ გამოცემაში და დაგვეხმარებიან, როგორც წერილების მოწოდებით, ისე ჟურნალის გავრცელებით. ჟურნალი გამოვა თებერვლის ბოლო რიცხვებში, მხოლოდ მასალა უნდა მივიღოთ იანვრის დამლევს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, პირველი ალექსანდროვის ქუჩა ს. თევდორაძისა ცაცა დარახველიძის ასულს ქ. ქ. წრის გამგეობის მონდობილობით.

გამგეობის მდივანი ც. დ—ძე.

P. S. ქ. ქალთა წრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

ც. დ.

ლიტერატურული უეთიკობა.

არიან ხოლმე ისეთი აზირებული ადამიანები, რომლებიც ხშირად კამათის დროს, მიუხედავათ იმისა მოპირდაპირე რაც უნდა ზრდილობიანად ეპყრობოდეს მათ, სულის სიმშვიდეს და მოთმინებას ჰკარგავენ, ლიტერატურულ ეთიკას ფეხით სთელავენ და გულის მოსაფხანად ლანძღვა გინებაზე გადადიან და მით სცდილობენ მოპირდაპირის დამცირებას საზოგადოების თვალში. არ ვფიქრობდი, თუ ასეთი ჯურის ადამიანებთან მქონოდა საქმე. პირიქით, მეგონა რომ „გუთნის" შემდგენელნი, როგორც სახელმძღვანელო წიგნის ავტორნი, მეტ ზრდილობიანობას გამოიჩენდენ და ლანძღვა-გინებით არ გამიმასპინძლდებოდენ, რადგანაც მგონია, თუ დიდ მცოდნე და განათლებულ პიროვნებად მიაჩნია ადამიანს თავისი თავი, იმ დროს ის მეტი თავმდაბალი, გულკეთილი, მომთმენი და ზრდილობიანი უნდა იყოს. აი, ეს არის ჭეშმარიტი განათლებული და შეგნებული ადამიანის თვისებანი. მე კი ამაში მოვტყუვდი და მოვტყუვდი იმიტომ, რომ მქონდა საქმე ქართული გიმნაზიის დამსახურებულ და ცნობილ მასწავლებლებთან, რომელთაგანაც არ ველოდი ასე უზდელად გამოლაშქრებას. ვინც წაიკითხა „სამშობლო"-ს 255 ნომერში მათი მეორე პასუხი „სახალხო ფურცელი"-ს 461 ნომერში მოთავსებულ ჩემი წერილის საპასუხოდ, აშკარად დაინახავდა, რომ მთლად ორი სვეტი ამ პასუხისა ლანძღვა-გინებაზე და პიროვნების დამცირებაზეა აშენებული. აბა ამოვწეროთ მათი მარგალიტი ფრაზები:

„[illegible] ბზვანელს თავი ნამდვილ რეცენზენტათ დაუსახავს, გადამჯდარა ჯორის ცხენზე და ხან აღმა აჭენებს და ხან დაღმა თქვენ რეცენზიას არავისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, ეს მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება და ჯორის ცხენით ჯირითი; ან თქვენი ნაცნობი მასწავლებელივით ისეთი [illegible] სარეცენზიო ნაშრომით იქნება შემცდარი, როგორც თქვენ; არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი, თქვენ რეცენზენტად არ გარგებულხართ, თქვენ არც რუსული სახელმძღვანელოსი გაგეგებათ რამე და არც ქართულისა; იანკარა და იყო გინდა ლანდორა შეგეზეტანა სახელის; თქვენ პედაგოგიურ შეუგნებლობას აშკარად ამტკიცებს ის ფაქტი" და სხვა....

ჩვენის აზრით ამ გვარი კილო წერისა თვითონ ავტორთ კარგად ახასიათებს და

ნაჭუჯებით?. შენ უშველ ხელს ჩემს ბედნიერებას?. შენთვის მე ვარ მდიდარი, განძეულობის და ოქროს ქურჭელი!. ო, ქვეყანავ, შენ მიცდი მე?. ნუ თუ შენთვის მოვსულვარ ამ ქვეყანად?. განა მე ღმერთს ვემსახურები!. განა ღვთიური ვარ მე?. მაგრამ დღევ და ქვეყანავ თქვენ მეტად მძიმე ხართ. თქვენ გაქვთ უფრო მარდი ხელები, ეპოტინებით უფრო ღრმა ბედნიერებას; გაიშვირეთ ხელი რომელიმე ღვთისკენ და არა ჩემსკენ!. ჩემი უბედურება—ღრმაა, ო, საკვირველო დღევ.. მაგრამ მე მაინც ღმერთი არა ვარ.. არა ვარ ჯოჯოხეთი ღვთისა.

სევდა ქვეყნისა—ეს სიღრმეა!..

8.

სევდა ღვთისა ღრმაა შენ საკვირველო დღევ! დაეპოტინე ღვთის სევდას და არა მე! რა ვარ მე! დამთვრობელი ტკბილ-ხმოვანი ჩანგი,—შუაღამის ჩანგი. ზარის ყრუ რეკა, რომელსაც ვერავინ ვერ გაიგებს, მაგრამ რომელმაც უნდა ილაპარაკოს ყრუთა შორის, ო, მაღალო ხალხო, რადგან თქვენ ვერ მიცანით მე!

მშვიდობით!.. მშვიდობით! ო, სიყმაწვილევ! ო, შუადღევ! ო, შუადღის შემდეგო საათო!.. ეხლა დადგა საღამო... ღამე და შუაღამე... ძაღლი ყმუის, ქარი... განა ქარი ძაღლი არ არის? ის ყმუის. ახ! ახ! როგორ ოხრავს ის... როგორ იცინის ის, როგორ ხრინწიანობს, იხუთება შუაღამე!

როგორ ფხიზლად ლაპარაკობს ახლა ის.. მთვრალი მეოცნებე?.. უსათუოდ მან შეუსვამს თავის დათრობა! ან იქნებ დაიღალა?.. კიდევ გაურკვევლად ღუღუნებს?..

კიდევ თავის სევდაზე ღუღუნებს ძილში ძველი, ღრმა შუაღამე. მაგრამ უფრო მეტს სიხარულზე, რადგან ეს სიხარული—თუ სევდა ღრმაა.

სიხარული ღრმაა—ვიდრე ის!

9.

შენ ვენახის ვაზო რისთვის მადიდებ?.. მე ხომ მოგჭერი შენ?.. მე მკაცრი ვარ... შენ დაიცალე სისხლისაგან: მაშ რაღას აქებ „ჩემს დამთვრალ სიმკაცრეს?.. „ყოველს სრულ ქმნილს, ყოველ მომწიფებულს სურს სიკვდილი!" ასე ამბობ შენ.

კურთხეულ არს, კურთხეულ დანა მევენახესი. მაგრამ დაუმწიფებელს სურს სიცოცხლე...

ო, სევდავ!..

სევდა ამბობს: „ჩაიარე! გამშორდი ო, სევდავ!" მაგრამ ყოველს ვინც იტანჯება სურს სიცოცხლე, რომ დამწიფდეს და აღივსოს სიხარულით და სევდით შორეულისადმი, უფრო მაღლისა და ნათელისადმი! „მე არ მსურს ჩემი თავი, არამედ მსურს მემკვიდრენი, მსურს შვილები—ასე ამბობს ის, ვინც იტანჯება. სიხარულს კი არ სურს არც მემკვიდრენი და არც შვილები, არამედ სურს მხოლოთ თავის თავი, მარადისობა, დაბრუნება.

სევდა ამბობს: გაიპე, დაიცალე სისხლით, ჰე, გულო!.. დაიძარი ფეხებო! ფრთებო, გაიშალეთ!.. ზევით! ნულა აყოვნებ სევდავ!.. წინ! წინ!

ო, ჩემო ძველო გულო:

ცხოვრება სდევნის სევდის ჩრდილს!

10

ო, მაღალო ხალხო, რას ფიქრობთ თქვენ ჩემზე?.. ვინ ვარ მე?.. სიზმრის მნახველი?.. მთვრალი? სიზმრის ამხსნელი?.. შუაღამის ზარი?.. წვეთი ცვარისა?.. სუნთქვა და კეთილ-სურნელება მარადისობის?..

განა არ გესმით?.. განა არ გრძნობთ? ჩემი ქვეყანა შეიქნა ეხლა სრულ ქმნილი... შუაღამე არის აგრეთვე შუადღე,—არის სევდა და სიხარული, წყევა და კურთხევა. წადით ან მოისმინეთ: ბრძენი იმავე დროს სულელია!..

გითქვამსთ თქვენ „დი-ად" სიხარულისთვის!.. ო, მეგობარნო ამით ამტკიცებდით თქვენ სევდას! ყოველი ნივთი შეკავშირებულია—მეორესთან, შეუღლებული, გამსჭვალული ერთმანეთის სიყვარულით!

გითქვამსთ ოდესმე: „ბედნიერებავ, მომწონხარ შენ!.. ერთო წამო! ერთო წუთო!,. თქვენ გსურდათ მაშინ რომ დაბრუნებულიყო ყველაფერი!

მაშინ გიყვარდათ თქვენ ქვეყანა!

მარადიულნო გიყვარდეს იგი მარადის და ყოველთვის!.. სევდასაც უთხარით: „ჩაიარე, მაგრამ დაბრუნდი... **რადგან სიხარული ესწრაფვის მარადისკენ.**

11

გაიგე თქვენ ჩემი სიმღერა?.. გამოიცანით მისი ნება?.. გამოიცანით?.. ო, მაღალო ხალხო, მიმღერეთ ჩემი საფერხულო სიმღერა... იმღერეთ ის სიმღერა, რომლის სახელია: „კიდევ ერთხელ", რომლის აზრია: „უკუნით უკუნისამდე!" იმღერეთ, მაღალო ხალხო, ზარატრუსტას საფერხულო სიმღერა:

„მეგობარო!.. ყური უგდე
თუ რას ამბობს შუაღამე;
იყო მეტად გრძელი ძილი
ღრმა სიზმარი განდევნა მან...
ქვეყანა ღრმა—ამ სიღრმეს
ოდნავ ხედავს დღე.
სევდა ქვეყნისა არის სიღრმე.
მაგრამ სიხარული უფრო ღრმაა მასზე...
სიცოცხლე სდევნის სევდის ჩრდილს;
სიხარული ესწრაფვის მარადისობის
დღისკენ.
სასურველ მარადისობის დღისკენ!.."

შ. გორგ ძე.

ქ. სარატოვი. 1916 წ. 4 იანვარი.

ასეთი უტიფარი ლანძღვა-გინებით ისინი თავიანთ თავს უფრო იმცირებენ შეგნებულ საზოგადოების წინაშე. ჩემი ზრდილობიანი წერილის შემდეგ, ვინც წაიკითხავს მათ უშვერო პასუხს, თუნდა მათი მომწონეც იყოს, არ შეიძლება რომ არ უძრახოს მათ და არ გაკიცხოს მათი ასეთი მეშჩანური საქციელი. მე თავს არ ვიქებ მათსავით, „ბუმბერაზი" პედაგოგი ვარ თქო; მე პატარა სახალხო მასწავლებელმა გამოვსთქვი გულწრფელად ჩემი აზრი ორიოდე სიტყვით მათი სახელმძღვანელოს შესახებ, რომელსაც ვხმარობთ ზოგან სახალხო სკოლებში; ზოგი რამე მომეწონა და ზოგი არა. ლათინური ანდაზაა: „de gustbus non disputandum", ე. ი. ყველას თავისი გემო აქვს, და ნუ თუ ჩემი გემოვნების გამომჟღავნების უფლება არ მქონდა?! რა მოხდა ასეთი, რომ ავტორებს თავზარი დაეცათ და ლანძღვა გინების ყუმბარები დამიშინეს?! „ვიღაც ბზვანელმა სახალხო მასწავლებელმა, როგორ გაბედა ჩვენი წიგნის დაწუნება; ვინ დაუჯერებს ისეთ კაცს, რომელიც „ჯოხის ცხენზე შემჯდარა და დააჭენებს; მასზე უკეთესმა პედაგოგებმა გაარჩიეს ჩვენი წიგნი და ასწონ დასწონეს, გვჰკივიან ავტორები. ბოდიშის მოხდით მოვახსენებ მათ, რომ შეიძლება არც ისინი იჯდენ მაინც და მაინც ისეთ ბედაურ მერანზე, როგორც მათ ჰგონიათ ბატონობთ რადა გაწუხებთ თუ კი ჩემზე უკეთეს პედაგოგებმა მოიწონეს თქვენი წიგნი და მე კი არავინ დამიჯერებს?! ნუ თუ არ იცით, რომ სახელმძღვანელოში მასალა ზოგს მოეწონება, ზოგს არ მოეწონება. ზოგი ღირსებას აღნიშნავს და ზოგი ნაკლს: თუ მოდექით ყველას და ასე ლანძღვით დასახეთ, ვაშა თქვენს მასწავლებლობა-ავტორობას! როგორც ბრძანებთ თქვენ ხომ მოგწონთ თქვენი წიგნი და განა არ კმარა, რაღა საჭიროა სხვისი რეცენზია?? რამდენიც უნდა გიმტკიცოს ვინმემ, ხომ მაინც არ დაიჯერებთ, რადგან თქვენ მოგწონთ! რამდენ ადამიანს ყავს მახინჯი და უხნეური ცოლი, ვინც უნდა უგინოს იგი მათ, არ დაიჯერებს, რადგან თვითონ მას მოსწონს იგი და უყვარს; ამიტომ განა ყველამ უნდა მოიწონოს იმათი ცოლი?! „ცნობილი იტალიელი მწერლის დე-ამიჩის სტატიები დაგვიწუნა ბზვანელმაო" ბრძანებენ ორატორები. ამ სიტყვებით ისინი მომაგონებენ სოფლებში მოხეტიალე მეფართლე ებრაელს, რომელიც უფიცავს მუშტარს; „ჩემი რჯულის მადლმა ეს მიტკალი მოროზოვისა, მოროზოვისო, რად არ მოგწონსო" იმავე დროს წკიპურტს ურტყამს მიტკალს და კრახმლის მტვერი ადის. რა უყოთ მერე, რომ მოროზოვისაა?! განა მოროზოვის ფაბრიკაში კარგ მიტკალთან ნაკლებ მიტკალს არ დაამზადებენ და არ გამოერევა გასაყიდათ?! ისე შეიძლება ცნობილ მწერალთა ნაწარმოებში ბავშთათვის იქნეს შესაფერისი მასალაც და უხეიროც, რასაც გამორჩევა მაინც საჭიროა, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო; თქვენ რეცენზენტად არ ვარგებულხართო", დამცინიან ავტორები. რა უყოთ მერე მე რომ რეცენზენტად არ ვივარგო, შეიძლება არც თქვენ ვარგოდეთ სახალხო სკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნების შემდგენლად, და ამიტომ ხმა არ ამოვიღოთ და არც არაფერი გვეკეთოთ?! „ჩვენი წიგნის განყოფილებებისთვის შესაფერისი მასალა ვერ გამოვძებნეთ ქართველი მწერლობის ნაწარმოებიდანო." რა ვუწოდოთ იმ მზარეულს, რომელიც ისეთ შეჭამანდს ამზადებს, რომლისთვისაც სართავ-საკაზმს ვერ იშოვის?! სადა გაქვთ ლექსები, იგავები, არაკები, ზღაპრები და საზოგადოდ ქრისტომატიული ნაწილი?! ტ თუ ვერ მოძებნეთ შესაფერისი მასალა, არ აჯობებდა არსებულ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისთვის მიგექციათ ყურადღება შეგეტანათ თქვენი შრომა მათ შესწორებაში და წერა კითხვის საზოგადოებისთვის, რომელსაც განსვენებულმა უანდერძა თავისი წიგნები, მეტი სარგებლობა მიგეცათ?! არ აჯობებდა პირადი ინტერესებისთვის საზოგადო ინტერესები გენაცვალებიათ, თქვენც ხომ ამ საზოგადოების დიდი ხნის წევრები ბრძანდებით?! რაც შეეხება თქვენ წინადადებას, რომ მე თქვენი სახელმძღვანელოს სტატია—მოთხრობებიდან ციტატები მოვიყვანო საბუთებათ, ამას მთელი წლის შრომა უნდა, რადგან ამ წიგნში 390 მეტ სტატიაა მოთავსებული, ამის დრო მე კი არა მაქვს.

ახლად დაარსებული მასწავლებელთა კავშირი გაარჩევს სახელმძღვანელოებს და მაშინ დავინახავთ ყოველივეს, ეხლა მე კი ვსპობ თქვენთან კამათს და არც ამდებანს მქონდა აზრად თქვენთან კამათი, მით უმეტეს აწ როდესაც კამათი ლანძღვა-გინებით შესცვალეთ და სხვადასხვა ეპითეტებით შემამკეთ.

სამაგიეროდ რომ მეც გიძღვნათ, ამას არ ვკადრებ და არც თქვენ გკადრებთ, როგორც ჩემზე უფრო ხნიერთ და ისეთ ნაცნობთ, რომელთაც ყოველდღე უნდა შეგხვდეთ, ხოლო უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი უზრდელი კილოთი პასუხის წერა არა საკადრისია თქვენი მხრით და მკითხველმა საზოგადოებამ დაგდოს თქვენ მსჯავრი. აგრეთვე, განგაშის ატეხა, ვაი თუ ბზვანელის რეცენზიამ ბაზარი დაუკარგოს ჩვენ წიგნსაო, ცარიელი მოსაზრება და ანგარიშებია, რაც მიზნად არ უნდა ჰქონდეს დასახული სახელმძღვანელო წიგნების შემდგენელთ და ისიც გიმნაზიის მასწავლებლებს. დასასრულ მეც მოვახსენებ „გუთნის" შემდგენელთ, როგორც ისინი მასწავლიან, „თუ კალამი უწმინდესი საბრძოლველი იარაღია და იგი უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს", მათაც ახსოვდესთ, რომ ასეთი უწმინდესი იარაღი არ იხმარონ ამიერიდან ლანძღვა-გინებისათვის და არ წაბილწონ, რაც არ ეპატიებათ ეროვნული გიმნაზიის მოსწავლეთა აღმზრდელთ.

ლადო ბზვანელი.

ბ.ბ. შეიძლება კიდევ გამოჩნდეს ისეთი სახალხო მასწავლებელი, რომელიც „შეჯდეს ჯოხის ცხენზე" და გამოსთქვას თავისი აზრი „გუთნის" შესახებ.

ლ. ბ.

პროვინციის ცხოვრება.

დ. საჩხერე. აგერ 25 წელიწადია, რაც ამ დაბაში განსვენებული დეკანოზის ივანე აბაშიძის თაოსნობით და ნეტარ-ხსენებული მღვდელ-მთავრის გაბრიელის ნებართვით დაარსებულია ორკლასიანი სამრევლო სკოლა. ეს სკოლა დაარსდა 1891 წ. სწორედ იმ დროს, როცა აქ არავითარი სასწავლებელი არ იყო.

მოსავლით მდიდარი, ჰავით მოსაწონი ბუნებიდან დაჯილდოვებული, მგოსან აკაკის ენით „პატარა პარიზათ" წოდებული საჩხერე ჯერ ეხლაც დიდათ მოკლებულია სწავლა-განათლებას და ამ ოცდახუთი წლის წინათ რა იქნებოდა? სწორედ სამღვდელო პირმა იგრძნო პირველათ ამ დაბაში ნაკლი და საჭიროება სწავლა-განათლებისა და ჩააგონა თავის საბლაღოჩინო მღვდლებს (განსვენებული ივანე აბაშიძე იყო ბლაღოჩინი) გაეხსნათ ორკლასიანი სამრევლო სკოლა დ. საჩხერეში და კიდევაც განახორციელა თავისი სურვილი ნეტარ-ხსენებულ ეპისკოპოზ გაბრიელის დახმარებით. ამ სკოლაში ამ 25 წლის განმავლობაში 8,000 მოსწავლეს უსწავლია და რამოდენსამე მათგანს უმაღლესი სასწავლებელიც კი დაუსრულებია. დიდიან დაარსებისა ამ სკოლაზე მზრუნველობა განსვენებულ დეკანოზს მინდობილი ჰქონდა თავის შვილის, ეხლა უკვე გარდაცვალებულის, ნოტარიუსის ბ. დიმიტრი აბაშიძისათვის, რომლისთვისაც სიკვდილის წინ ანდერძათ დაუტოვებია განსვენებულ დეკანოზს: „ეს სკოლა მიგაჩნდეს შენ შვილათ და მას მოუარე ჩემზე უფრო, იგი მიგაჩნდეს შენ უკვდავ ძეგლათ, ისეთი უფრო მაგარ ძეგლს შენ ვერ ააგებ ვერასოდესო". სწორეთ ბ. დიმიტრი აბაშიძე სავსებით ასრულებდა მამის ნაანდერძევ დარიგებას. ვერ მოსთვლის ენა რამდენი დახმარება აღმოუჩენია ბ. დ. აბაშიძეს ამ სკოლის მოსწავლეთათვის, რამდენი მიწველი მოსწავლე შეუმოსავს მას ამ სკოლაში, რამდენისათვის უყიდნია სასწავლო ნივთები და სხვა და სხვა, მაგრამ უმთავრესი და უდიდესი კი ის არის, რომ მან 1911 წ. ააშენა სკოლის ეზოში თავისი ხარჯით ოთხი თვალი სასკოლო სახლი, ღირებული კომისიის შეფასებით 4,000 მანეთამდე, რომელიც შესწირა იმავე ორკლასიან სკოლას, სადაც საკუთარი მასწავლებელი დაინიშნა და მით მიეცა ხალხს შეძლება წლიურათ 60 ბავშზე მეტი გაიზარდოს ამ სკოლაში. დიდი და უდიდესი მადლობის ღირსია ასეთი მზრუნველი სკოლისა და საზოგადოებისთვის მშრომელი ადამიანი, როგორიც იყო ბ. დ. აბაშიძე. ღმერთმა მრავალი აღმოაჩინოს მიმბაძავი ამ პატიოსანი განსვენებული მზრუნველისა.

განსვენებულმა მზრუნველმა ეხლაც არ იკმარა და უკანასკნელ ხანებში თავისი სიცოცხლისა, მან შუამდგომლობა აღძრა, ვისთანაც ჯერ არს, რომ ალისუბნის მეორეკლასიანი სასწავლებელი შორაპნის მაზრას არ გამოშორებოდა და დ. საჩხერეში ყოფილიყო გადმოტანილი, რასაც მხარს უჭერდა საჩხერის საბლაღოჩინოს სამღვდელოება, მაგრამ ჩვენდა გაუგებარ მიზეზებისა გამო ზემო აღნიშნული სასწავლებელი არ იქნა გადმოტანილი დ. საჩხერეში.

განსვენებულ დ. აბაშიძის ადგილზე ამ სკოლის მზრუნველათ დანიშნეს გამოჩენილი შეგნებული, გულშემატკივარი ადამიანი ბ. ილარიონ ოტიას ძე გამყრელიძე, ქონებით მდიდარი, რომელმაც შემოსწირა სკოლას 300 ოთხკუთხი საჟენი მიწა სკოლის ეზოზევე მობმული. ბ. გამყრელიძე ბევრ კარგს პირდება ამ სკოლას და იმედიც გვაქვს, რომ შეასრულებს თავის დაპირებას. იგი იძლევა ფულს ფანჯრების ჩასასმელათ, ჩარჩოების გამოსაცვლელად და სხვა, რაზედაც მას ულრმეს მადლობას ვუძღვნით ამ სკოლის მასწავლებლები ასეთი თანაგრძნობისათვის.

იმერეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს ხომ სრულიად უყურადღებოთა ჰყავს სკოლა მიტოვებული და არ ზრუნავს მის რემონტზე და გაუმჯობესობაზე.

სად. ძირულა. (შორაპნის მაზრა) აქ დაარსდა მომხ. საზოგადოება „სახალხო დუქანი" არჩეულია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები; დაარსდა წიგნსაცავ სამკითხველო ე. ნინოშვილის სახელობაზე, რომლის კურთხევა დანიშნულია 14 იანვრისთვის; არსებობს „შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა", აფთიაქი, სოფლის სამმართველო, ორ-კლასიანი სასწავლებელი, კანცელარია შორაპნის საბლაღოჩინო ოლქისა და სხვა... ერთი სიტყვით ყველაფერი დაწესებულება გვაქვს, თუ საზოგადოება რიგიანათ წინ წაუძღვა და ნიადაგი არ გამოაცალა.

მაგრამ ძალიან სამწუხაროთ უნდა აღვიაროთ ერთი გარემოება, რომელიც უკურნებელი სენათ გადაიქცევათ ადგილობრივ მამასახლისს და მის მწერალს. მიუხედავათ იმ ათასი გაჭირვებისა, რომელსაც ძირულის საზოგადოება განიცდის, უგზოობისა, სიმშილობისა თუ სხვა მხრივ და რომლის მოწესრიგებაც სავალდებულოა ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის, ზემოხსენებული მოხელენი გარდა „კაზიონი" კონვერტების შესრულებისა არაფერს ყურადღებას არ აქცევენ და დღე და ღამე გართული არიან კარტის, ნარდის, ლოტოს და დომინოს თამაშით... უმეტესად სამწუხარო კიდევ ის არის, რომ გარდა გოცლილი ვაჭრებისა იმათ აიყოლეს ადგილობრივი ინტელიგენცია და ნამეტნავად კი მოწაფეები, რომლებიც ბ. მწერალს ზაფხულის კანიკულებზე გაუწვრთნია ამ ხელობაში და ახლა შობის დღესასწაულებზე ჩვენი სამმართველო ხომ პირდაპირ კლუბს წარმოადგენს.

შაბას, 25 დეკემბერს, ღამის ოთხ საათზე შემთხვევით გავიარე სამმართველოს წინ და ერთი აურ—ზაური შემომესმა.. გულმა აღარ მომითმინა შევიხედე ფანჯარაში და რას ვხედავ: მაჯულების გრძელ მაგიდას შემოსხდომია ყოველი დარგის მოწაფე: გიმნაზისტები რეალისტები, სემინარიელები. შუაში ზის ბ-ნი მწერალი (მამასახლისი არ დამინახავს) და კარტი და თუმნიანები ჰაერში ფრიალობდენ... გამიკვირდ: მოწაფეებს მაინც ვინლა მისცა ეს ფული თქვა—მაგრამ როგორც შემდეგში შევიტყვე ბ-ნ მწერალს აი როგორი ხრიკისთვის მიუმართავს: ასესხებს მათ „მოსე მწერლის" დაგვარათ გაძვალტყავებული ხალხისაგან ანაგლეჯ თავის ფულს და როდესაც მოიგებს ერთ კვირაში თუ არ გაისტუმრეს, ვაი მათი ბრალი... მოწაფეებიც მშობლებს ატყუებენ—ვითომ და წიგნებისთვის სჭირიათ და იკარგება ამ გვარათ ისედაც გაჭირვებული მშობლების ფულიც...

როგორც მითხრეს ადგილობრივი მასწავლებლებიც აყოლიან ბატონ მწერალს (მხოლოდ ღამით-დღისით არა) არა თუ ეს მართალია—შენი მტერია აქაური დაწესებულების მომავალი ჩაილურის წყალს გაყვეს...

სასურველია ამ ახალ წლიდან მაინც აღარ განმეორდეს ასეთი საქციელი და ნაცვლად ამისა ამ ვაჟბატონებმა ხელი შეუწყონ ჩვენი გაძვალტყავებული საზოგადოების ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას.

ძაცი.

დაჭრილების სია.

ქუხალაშვილი ერმილე ელიზბარისძე იქიდანვე.

გიორგაშვილი ალექსი აბრამისძე გორის მაზ. ს. ხელთუბანი.

ქუქავა ალექსანდრე ტაიასძე ზუგ. მაზ. ს. ხორგა.

გოგიტაძე ერმილე სიმონისძე ოზურგ. მაზ. ს. გოგორეთი.

ყიფიანი ვარლამ ილიკოსძე რაჭის მაზ. ს. ბოსტანეთი.

ბეგლაროვი (?) ალექსანდრე (ალექსი.) ივანესძე გორის მაზ. ს. ლეთეთი.

მიქაძე ნესტორ სტეფანესძე ქუთაისის მაზ. ს. ჯიხაიში.

გიორგაძე ილია ლუკასძე ქუთაისის მაზ. ს. სიმონეთი.

ანდრიაძე სოლომონ ივანესძე ქუთ. მაზ. ს. ჯიხაიში.

პაპუაშვილი თედო გიგოსძე თელავის მაზ. ს. ენისელი.

ქარქესაშვილი ივანე ნიკოსძე თფილისის მაზ. ს. ახოტი.

სახურია ალექსი გიორგისძე, ზუგდიდის მაზ. ს. კორცხი.

ჩაკრაშვილი გიორგი ივანეს ძე თელ. მაზ. ს. ნაფარეული.

მჟავია კონსტანტინე ერმილესძე ქუთ. მაზ. ს. გორა.

ბიაშვილი გიორგი ზაქარიასძე (თბილისელი ოსი).

ღვთისაიშვილი გრიგოლ ქიტესძე დუშ. მაზ. ს. მუხრანი.

უჯიშვილი მიხეილ ზურაბისძე გორის მაზ. ს. პაწია მიტარბი.

ედიშერაშვილი ლევან სოლომსძე ბორჩალ. მაზ ს. გომარეთი.

ბასუმაშვილი ვლადიმერ იაკობისძე გორის მაზ. ს. ვარიანი.

ნატროშვილი სვიმონ იოსისძე [illegible]ლის მაზ. ს. გარბხოანი.

შახნაზაროვი (?) სერგო მიხეილისძე გორის მაზ. ს. მეჯვრისხევი.

ზაზარაშვილი სანდრო [illegible] მაზ. ს. კარალეთი.

მაისურაძე ვანო ისაკისძე სიღ. მაზ. ს. მაღარო.

მირიმანოვი (?) იოსებ იორდანესძე ქ. თელავიდან.

შენგელია ვლადიმერ ივანესძე ქუთ. მაზ. ს. გოჭოურა.

პანტურიძე იოსებ ალფეზისძე შორაპ. მაზ. ს. საზანო.

შ. ჟ.

ჩვენი ფოსტა.

ხაშურ ბ-ნ ვ. ვანიძეს თქვენი წერილები არ მიგვიღია.

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცაძე.**

ქ. ქუთაისს მოდის.

ტფილისიდან	დილის	5 ს.	50 წ.
„	საღამ.	6 ს.	57 წ.
ბათომიდან	დღისით	1 ს.	25 წ.
„	ღამის	2 ს.	23 წ.
ფოთიდან	დილის	10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	დილის	9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

ტფილისისაკენ	დილის	11 ს.	55 წ.
„	ღამის	1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	დღისით	5 ს.	30 —
„	დილის	4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	დღისით	4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	დილის	6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	დღით.	5 ს.	— —

ქუთაისის განყოფილება
ამხ.-ბა „პროვოდნიკი".

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

კალოშები საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა ხრული ამორჩევით.

საეტლო შინები საერთაშორისო მარკები „სლონ" და „სვერხ-სლონ"

და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა. 30—15

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინაამდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინაამდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ზურგის ტვინისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)